პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 მარტი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 52 (8971) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ტურნირის ექო

## გამარჯვება სათანადო დასკვნებს მოითხოვს

„კინგ სკაპი" (სამეფო თასი) — ასე ეწოდება ევროპის ჩოგბურთელ ვაჟთა პირველობას, რომელიც რამდენიმე დივიზიონში ანუ ლიგაში ტარდება და ერთობ პრესტიჟულ ტურნირად ითვლება.

ამჯერად „კინგ სკაპის" ფინალურ შეხვედრებს (შეჯიბრების დამფუძნებელი შვეცია გახლავთ) ესპანეთის ქალაქ ლა-კარუნეს დახურულმა კორტებმა უმასპინძლა. მეორე ლიგის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სსრ კავშირისა და იტალიის გუნდებს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა შეხვედრას, რომელშიც ანდრეი ჩერკასოვთან ერთად ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდა ქართველი ჩოგბურთელი ვლადიმერ გაბრიჩიძე. როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ეს მატჩი დამთავრდა საბჭოთა წყვილის გამარჯვებით (2:1), რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის სპორტსმენები მრავალწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ უძლიერესი დივიზიონის ექვსეულს. გამარჯვებულებმა ფინალის გზაზე სძლიეს ავსტრიისა (3:0) და ფინეთის (2:1) წარმომადგენლებს.

გასათვალისწინებელია ის, რომ ამას წინათ ფინელებმა დევისის თასის ევროპის ზონის პირველ წრეში დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს ირლანდიელი მეტოქეები და ახლა ინგლისელებთან მომავალ შეხვედრასაც იმედის თვალით უყურებენ, — თქვა გაბრიჩიძის მწვრთნელმა, თომას ლეიუსმა და განაგრძო: დევისის თასი შემთხვევით არ მიხსენებია, — „კინგ სკაპი" ძალზე უახლოვდება მას და მეორე პრიზად ითვლება. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ამ შეჯიბრების მონაწილეთა რეიტინგი საკმაოდ მაღალია მსოფლიო კლასიფიკაციაში. მაგრამ გაბრიჩიძე ამ სიაში ექვსას ორმოცდამეთხუთმეტეა, ჩერკასოვი კი ასეულში შედის. საქმე ის არის, რომ ჩვენი ჩოგბურთელებისათვის დიდი იშვიათობაა საზღვარგარეთის კორტებზე თამაში, სარეიტინგო ქულები კი მხოლოდ იქ გამოსვლების მიხედვით აღინუსხება. ის ექვსას-ორმოცდამეთხუთმეტე ადგილიც „პოლონეთის სატელიტურ" ორთაბრძოლებშია მოპოვებული, სადაც გაბრიჩიძე კაჭარავასთან ერთად მონაწილეობდა. ვლადიმერი ხელწამოსაკრავი ჩოგბურთელი არ გახლავთ. იგი საუკეთესოა წყვილთა ასპარეზობაში. თავად განსაჯეთ, დღეისათვის მას მოპოვებული აქვს ჩვენი ქვეყნის სამგზის ზამთრისა და ორგზის ზაფხულის ჩემპიონობა. მიუხედავად ასეთი სტაბილური მაჩვენებლებისა, იგი მაინც ვერ ეღირსა დევისის თასისთვის ასპარეზობას, თუმცა ამ საპატიო პრიზის გათამაშებაში საბჭოთა გუნდის „აქილევსის ქუსლი" სწორედ წყვილთა გამოსვლები გახლავთ.



ვლადიმერ გაბრიჩიძე

გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ საქართველოს სპორტსახკომმა და ჩოგბურთის ფედერაციამ სხვა გზა მონახონ აქაური ჩოგბურთელების სახელის საზღვარგარეთ „ექსპორტისათვის". თავად უნდა დავამყაროთ საქმიანი კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან. ამის მაგალითად გამოდგება ესტონეთიც, რომელმაც მაროკოსთან დაამყარა საქმიანი კონტაქტები, ამას წინათ კი ვისანტმა მოიგო მაროკოს ჩემპიონატი და საკლასიფიკაციო რეიტინგში ას მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. ვფიქრობ, ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია და, რაც უფრო მალე მივიღებთ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს, მით უფრო მოიგებს ქართული ჩოგბურთი.

ჩაიწერა ჯ. უნგიაძემ.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ

### ემზადებიან 22 მარტისთვის

**ამ** დღეს ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში დანიშნულია ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები არიან: **მეკარეები** ჩანოვი, ხარინი; **მცველები** — გორლუკოვიჩი, ზიგმანტოვიჩი, კუზნეცოვი, დემიანენკო, ბესონოვი; **შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები** — ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, იარემჩუკი, რაცი, პროტასოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი, მიხაილიჩენკო, იაკოვენკო, ჩერედნიკი, სალენკო, ლიუტი და ი. სავიჩევი.

ამ საინტერესო მატჩში მონაწილეობას მიიღებენ მეკარე რ. დასაევი და თავდამსხმელი ა. ზავაროვი, რომლებიც უცხოეთის კლუბებში თამაშობენ. რაც შეეხება ვ. ხიდიატულინს, საფრანგეთის „ტულუზას" ხელმძღვანელობამ მას მატჩში მონაწილეობისთვის ნება არ დართო.

სსრ კავშირის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დადგინდება საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ, რომელიც 17 და 18 მარტს გაიმართება.

### „ადისის" ორი მატჩი თბილისში

**გუშინ** და გუშინწინ თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლემ (კიროვის პარკი) უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ორ კალენდარულ მატჩს უმასპინძლა. ერთმანეთს შეხვდნენ აბოვიანის „ადისი" და გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი სვერდლოვსკის „ურალმაში". პირველი შეხვედრა სომხეთის გუნდმა მოიგო 95:90 (57:50). განმეორებით შეხვედრაშიც ადისელებმა იმარჯვეს 92:84 (48:45). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა ლ. ალექსანდროვამ, რომელმაც პირველ მატჩში 25 ქულა შესძინა გუნდს, ხოლო მეორეში — 29 ქულა.

21 და 22 მარტს „ადისი" ისევ თბილისში ითამაშებს. ამჯერად მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან".

## იქმნება საფეხბურთო კავშირი

**ჩვენი** სპორტული მოძრაობის გარდაქმნის საკითხი ბევრს აინტერესებს და აღელვებს, რადგანაც პრობლემები ამ სფეროში საკმაოდ ბევრი დაგროვდა. სხვა საკითხებთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს უმაღლესი კლასის სპორტსმენების სტატუსის შეცვლის საქმეც და, აი, მარშან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „ფეხბურთის, სპორტის სხვა სათამაშო სახეობების მართვის სრულყოფისა და სპორტის ძირითად სახეობებში სპორტსმენებისა და გუნდების შენახვის საკითხის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

სსრ კავშირის სპორტსახკომისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წინადადებით იქმნება სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირი, ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს მოწინავე სპეციალისტებს, მსაჯებს, მწვრთნელებსა და სპორტმენებს. კავშირმა თავისი საქმიანობა სპორტულ საზოგადოებრიობასთან ურთიერთკავშირში და სპორტსახკომთან მჭიდრო კონტაქტში უნდა განახორციელოს.

საფეხბურთო კავშირის მთავარი ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია, ოსტატობის ამაღლება, საკავშირო ჩემპიონატების ჩატარებასა და ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ასპარეზობებისთვის ნაკრები გუნდებისა და კლუბების ფორმირება.

დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის სპორტსახკომს ევალება დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოს საფეხბურთო კავშირის დამფუძნებელი კონფერენციის მომზადება და ჩატარება. გარდაიქმნება აგრეთვე სპორტის სხვა სათამაშო სახეობების ფედერაციების საქმიანობაც.

ეს მასშტაბური დოკუმენტი სპორტთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს, ისეთებს, როგორიცაა ქვეყნის ნაკრები გუნდები, კლუბები. ასე მაგალითად, კლუბები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, ამასთან მათ შეუძლიათ შექმნან სპეციალიზებული საფირმო მაღაზიები, კაფეები, აწარმოონ სუვენირები და სპორტული ატრიბუტიკა, გამოუშვან სარეკლამო პროდუქცია.

დადგენილებაში [illegible], რომ სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ მუშათა პროფესიების მოსამსახურეთა თანამდებობებისა და სატარიფო თანრიგების სრულიად საკავშირო კლასიფიკატორს დაამატონ „სპორტში (სახეობის მიხედვით) სპორტსმენ-ინსტრუქტორის" თანამდებობა, მათთან, ისევე როგორც სპორტის სხვადასხვა სათამაშო სახეობების გუნდების მწვრთნელებთან, დაიდება სასწრაფო შრომითი ხელშეკრულება სამ წლამდე ვადით. განხილულია, აგრეთვე, სპორტსმენთა პენსიით უზრუნველყოფის საკითხი, გათვალისწინებულია სპორტსმენების სამუშაოთი უზრუნველყოფის საქმეც სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, ხდება საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით მოასპარეზე სპორტსმენთა ფულადი დაჯილდოების წესის რეგლამენტირება.

დადგენილების საფუძველზე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შესაბამის პროფკავშირთა საბჭოებთან და კომკავშირის კომიტეტებთან ერთად ევალებათ განახორციელონ დამატებითი ზომები სპორტულ-სანახაობითი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საწარმოების, საფეხბურთო მოედნების, საბავშვო ქალაქების და ა. შ. რეკონსტრუქციისა და შეკეთებისთვის.

დასახულია ამოცანა ჩვენს ქვეყანაში სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მისაღწევად, განსაკუთრებით ფეხბურთში, ჰოკეისა და სპორტის სხვა სათამაშო სახეობებში, ამაღლდეს მათი ჩატარების კულტურა, საჭიროა ვეცადოთ, რათა ისინი ემსახურებოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს, ხელს უწყობდნენ სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულთა ინტერნაციონალურ აღზრდას.

საქდესი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## პერსპექტივები

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელს" შორის. უკრაინელი კალათბურთელები წლეულს რეალურ პრეტენზიას აცხადებენ ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე. ყოველ შემთხვევაში დაკარგული ქულებით ისინი მეორე ადგილზე არიან კაუნასის „ჟალგირისის" შემდეგ.

გუშინწინდელ მატჩში „სტროიტელმა" მოსკოვის „დინამო" დაამარცხა მისსავე მოედანზე 93:78 (46:33). უკრაინელი კალათბურთელები ამ სეზონში თამაშობენ ისე კარგად, როგორც არასდროს. სპეციალისტები ამის ერთ-ერთ მიზეზად კოლექტივში ვოლკოვის მოსვლას მიიჩნევენ, რომელმაც ბევრი რამ მოაწესრიგა დაცვაში და თავდასხმაშიც საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 37 | 21 | 16 | 58 |
| ასკ (ალმა-ათა) | 34 | 23 | 11 | 57 |
| „სტროიტ." (კ.) | 29 | 23 | 6 | 52 |
| „ჟალგირისი" | 26 | 24 | 2 | 50 |
| ცსკა | 29 | 20 | 9 | 49 |
| „სტატ." (ვილ.) | 32 | 16 | 16 | 48 |
| „დინამო" (თბ.) | 34 | 13 | 21 | 47 |
| „კალევი" (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| რტი (მინსკი) | 28 | 13 | 15 | 41 |
| ვეფ (რიგა) | 35 | 6 | 29 | 41 |
| „სპარტ." (ლენ.) | 32 | 7 | 25 | 39 |
| „შახტ." (დონ.) | 30 | 7 | 23 | 37 |



როგორც ხედავთ, მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ერთობ დაძაბულია. რვა უძლიერეს კოლექტივს შორის მოხვედრისთვის იბრძვის ცხრა გუნდი. ერთი მათგანი „ზედმეტია". სწორედ ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს თბილისის დინამოელთა დღევანდელი და ხვალინდელი მატჩები მთავარ კონკურენტთან — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივთან. ბელორუსიის კალათბურთელებს 15 მატჩი აქვთ წაგებული, „დინამოს" — ოცდაერთი, მაგრამ რტი-ს ექვსით ნაკლები შეხვედრა აქვს ჩატარებული და არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დაამთავრებს იგი ამ გამოტოვებულ შეხვედრებს.

იმისათვის რომ მკითხველი უკეთ გაერკვას შექმნილ სიტუაციაში ვბეჭდავთ კიდევ ერთ ცხრილს, რომელშიც გუნდები განლაგებული არიან დაკარგული ქულების მიხედვით.

| | თ. | მ. | წ. |
|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" | 26 | 24 | 2 |
| „სტროიტელი" | 29 | 23 | 6 |
| ცსკა | 29 | 20 | 9 |
| ასკ | 34 | 23 | 11 |
| „კალევი" | 30 | 15 | 15 |
| რტი | 28 | 13 | 15 |
| „დინამო" (მ.) | 37 | 21 | 16 |
| „სტატიბა" | 32 | 16 | 16 |
| „დინამო" (თბ.) | 34 | 13 | 21 |
| „შახტიორი" | 30 | 7 | 23 |
| „სპარტაკი" | 32 | 7 | 25 |
| ვეფ-ი | 35 | 6 | 29 |

● ● ●

კალათბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ თბილისის „დინამოსა" და მინსკის რტი-ს შეხვედრები გაიმართება 16 და 17 მარტს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი). დასაწყისი 20 ს.

## ისრები მიზანს ხვდება

**ასპარეზობის** მასპინძლებმა — თბილისის ქალთა მეორე და ვაჟთა პირველმა გუნდებმა გაიმარჯვეს მშვილდოსანთა ტრადიციულ საგაზაფხულო რესპუბლიკურ ასპარეზობაში. პირად ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს ბათუმელებმა ლანა ვერულიძემ და თეიმურაზ მორგოშიძემ. ბათუმელმა თამაზ ფუტკარაძემ და თბილისელმა რეგინა მჟავანაძემ მეორე ადგილები დაიკავეს. თბილისელები ხათუნა ქვრივიშვილი და კახა შარაშიძე მესამე პრიზიორები გახდნენ.

24 მარტს საქართველოს ნაკრები გუნდი სტარტს აიღებს ქვეყნის ცამეტი უძლიერესი გუნდის შეჯიბრებაში, რომელიც დუშანბეში გაიმართება.

## ასპარეზობენ ხუთჭიდელი დინამოელები

**სოხუმში** დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის დინამოელთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდის ოთხ სახეობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ პროგრამის ცალკეულ სახეობებში. მძლეოსნურ კროსში საუკეთესო იყო ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ნოდარ შამოიანმა კი მესამე ადგილი დაიკავა სროლაში.

(საქინფორმი).

# უძრაობის წამალი მოძრაობაა

## ანუ 29 წელი უბიულეტენოდ

**როგორ** შეიძლება, ამდენი წელიწადი ისე იმუშაო, რომ ავადმყოფობის გამო სამსახურში ერთი დღეც კი არ გააცდინო? ეს „საიდუმლო“ ძალიან მარტივად აგვიხსნა ცხინვალის თეატრის ქართული დასის წამყვანმა მსახიობმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თეიმურაზ მეშვილდემ: ამისთვის საჭიროა უმიზეზოდ არც ერთი ვარჯიში არ გააცდინოო (მკითხველი ალბათ, მიხვდა, რომ ჩვენი წერილი თეიმურაზ მეშვილდეს ეძღვნება).

მე და თეიმურაზს ამ ოცდახუთი წლის წინ თეატრში ერთად მოგვიხდა მუშაობა (მე მაშინ სცენის მუშა გახლდით და ვიმედოვნებ, რომ ჩემი დადგმული დეკორაციები ძალიან ეხმარებოდა მსახიობს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში). მერე ჩვენი ცხოვრების გზები გაიყარა, თეიმურაზის წარმატების ამბები შორიდანღა მესმოდა. შემთხვევით გავიგე ფიზიკური კულტურით მისი გატაცების შესახებ. გამაკვირვა იმანაც, რომ ოცდაცხრა წლის განმავლობაში მსახიობმა უდუბლიოროდ ასზე მეტი როლი შეასრულა



და სპექტაკლი არასოდეს გაუცდენია, არადა, ვიცი, რომ ამ პროფესიის ადამიანებს დიდი სულიერი და ფიზიკური დატვირთვის ატანა უხდებათ, გასტროლების დროს, არცთუ იშვიათად, იძულებული არიან მძიმე პირობებშიც ითამაშონ, ზოგან ზამთრობით გათბობაც არ არის. თუ იმასაც ვიტყვით, რომ თეიმურაზი ოლქის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დიქტორიცაა და ეთერში დღეში სამჯერ უხდება გამოსვლა (აქ მან რამდენიმე რადიოსპექტაკლიც დადგა), რომ მისი თაოსნობითა და რეჟისორობით ცხინვალში შეიქმნა და მუშაობს ახალგაზრდულ-სტუდენტური თეატრი, რომ იგი საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანია, რომ 1981 წელს „ხელოვნებამ“ გამოსცა თეიმურაზ მეშვილდის წიგნი „ცხინვალის ქართული თეატრი“, მისი სტატიები კი პერიოდულად იბეჭდება როგორც რესპუბლიკურ, ისე საოლქო ჟურნალ-გაზეთებში, ცხადია, ამდენ საქმეს რკინისებური ჯანმრთელობის ადამიანის გარდა ვერავინ გაუძლებდა. ხოლო იმას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმეს თეიმურაზი უდიდესი მონდომებით და, როგორც იტყვიან, მაღალ დონეზე ასრულებს, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დიპლომები და სიგელებიც მოწმობს. ყოველივე ეს, პირველ ყოვლისა, ფიზკულტურის დამსახურებაა, თეიმურაზ მეშვილდესთან ჩვენი საუბარი სწორედ ამით დაიწყო.

— ფიზკულტურასა და სპორტს სკოლის ასაკში დავუმეგობრდი. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ პირველ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, მასწავლებლად მუშაობდა ამ საგნის შესანიშნავი მცოდნე, მთამსვლელი, სპორტის ოსტატი გიორგი დევიძე. მე სკოლის ღირსებას როგორც ქალაქის, ისე ოლქის ჩემპიონატებში ოთხ სახეობაში ვიცავდი — მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში. ამავე დროს, დამოუკიდებლად აკრობატიკაშიც ვვარჯიშობდი. ბატონ გიორგის ხშირად დავყავდით სალაშქროდ. ზამთრობით 20-25 მოსწავლეს მოგვიყრიდა თავს და ვაწყობდით სათხილამურო გადარბენებს მარშრუტით: ცხინვალი-კუსირეთი, თამარაშენი-აჩაბეთი-კეხვი-ქურთა. დილით რომ გავიდოდით, შებინდებისას ვბრუნდებოდით შინ. თითქმის ყველა მოზარდი სრიალებდა თხილამურებითა და ციგურებით, დღეს კი, სამწუხაროდ, ასეთი ბევრი როდია. მოგვიანებით, როცა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, ფარიკაობას საგნად გვასწავლიდნენ. როგორც ჩანს, მე ეს საგანი ცუდად არ ამითვისებია, რადგან ინსტიტუტის ნაკრებში ჩამრიცხეს და დაშნით ხელში თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობებში ვმონაწილეობდი. გარდა ამისა, კალათბურთსაც ვთამაშობდი.

**● სპორტში იდეალი თუ გყავდათ?**

— სლავა მეტრეველი. ყოველთვის მხიბლავდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი და ის, რომ არასოდეს აძლევდა თავს უფლებას, მიღწეულ დონეზე დაბლა დაშვებულიყო.

**● როგორ მიაღწიეთ იდეალურ ჯანმრთელობას, ასეთ რა საიდუმლოებას ფლობთ?**

— არავითარი განსაკუთრებული საიდუმლო არა მაქვს. ყოველდღიურად თითო საათს ვვარჯიშობ ჩემი სახლის გვერდით, ხელოვნურ ტბასთან. ჯერ დავრბივარ, შემდეგ მოთელვას ვასრულებ, ბოლოს კი ვცურავ, რამდენიმე კილომეტრს ვფარავ. ეს არის, ზამთრობით ტბა იყინება. ამ დროს წყლის პროცედურებს შინ ვიღებ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვუთმობ სუნთქვით ვარჯიშებს. უამისოდ თეატრში ასეთ დატვირთვას ვერ გავუძლებდი.



ფიზკულტურა ყველასთვის

**● როგორი შეფარდებაა თქვენს წონასა და სიმაღლეს შორის?**

— სიმაღლით 184 სანტიმეტრი ვარ, ვიწონი 84 კილოგრამს.

**● თქვენი ვარჯიშის მეთოდები ალბათ ბევრისთვის როდი იქნება ხელმისაწვდომი.**

— ვარჯიშთა სისტემა ყველა ადამიანმა თვითონ უნდა შეირჩიოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრმა ახალბედამ არ იცის, როგორ დაიწყოს. კარგი იქნება, თუ ტელევიზია ახალბედებისთვის გადასცემს ვარჯიშებს კომენტარებით რომელ ორგანოს როგორი მოძრაობა მოუხდება. დარწმუნებული ვარ, ამ გზით ბევრი ეზიარება ყოველდღიურ ფიზკულტურას.

**● იმათგან, ვინც ვარჯიშს ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ძალიან ბევრი თავს მოუცლელობით იმართლებს...**

— აქსიომაა — ჯანმრთელი ადამიანი უფრო მეტს, უფრო ნაყოფიერად მუშაობს და დროც, ცხადია, მეტი რჩება.

**● იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ჯანმრთელობის ჯგუფს ჩასდგომოდით სათავეში?**

— ყველა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა თავისი ცოდნა-გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს. ცხადია, მეც მიფიქრია, რომ გამაჯანსაღებელ ჯგუფში გამეერთიანებინა ინდივიდუალურად მოვარჯიშეები. სამწუხაროდ, საამისოდ დრო არ მრჩება. არადა, აუცილებლად უნდა შეიქმნას ორგანიზებული ჯგუფები, როგორც, მაგალითად, თბილისში, კუს ტბაზე — თავისი სამედიცინო მომსახურებით. აქვე ერთი გულისტკივილიც მინდა გამოვთქვა. ოლქში ძალიან ბევრი კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდაა, მაგრამ მათი უმეტესობა სპორტულ სექციებში არ არის ჩაბმული. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ოლქს არა აქვს სათანადო სპორტული ბაზები, სამაგიეროდ **გვაქვს ბუნებრივი პირობები სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. ჯავის ხეობა ამისთვის ზედგამოჭრილია, მაგრამ ამ შესაძლებლობას არავინ იყენებს. ამას გარდა, ტბა, სადაც მე ვვარჯიშობ, სიგრძით 400 და სიგანით 100 მეტრია. აქ ალბათ შეიძლება ნიჩბოსანთა დაწყებითმა ჯგუფებმა ივარჯიშონ. სათანადოდ არ არის გამოყენებული ცენტრალური სტადიონი,** რომელიც რემონტის შემდეგ კვლავ ჩადგა მწყობრში. აქ ყოველგვარი პირობაა საიმისოდ, რომ ადამიანმა ჯანმრთელობა გაიკაჟოს. ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სტადიონის გვერდით მდებარე ტყეც, მაგრამ რამდენადაც ვიცი, **გამაჯანსაღებელი კომპლექსის შექმნაზე არავინ ფიქრობს.** საერთოდ კი, ვიმეორებ, **სამხრეთ ოსეთის სპორტულ პოტენციალს მინიმალურად თუ ვიყენებთ.** სამოციან წლებში ჩვენი თეატრის გუნდი სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალაქის პირველობებში მონაწილეობდა, დღეს კი იმ კარგი ტრადიციისაგან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებიღა შემოგვრჩა. ერთი სიტყვით, პრობლემა საკმაოდ ბევრია. ადრე ეს პრობლემები თითქმის არ ჩანდა, დღეს კი... თანამედროვე ადამიანი მოძრაობის დეფიციტს განიცდის, გახშირდა ისეთი დაავადებები, ჩემს ბავშვობაში ძალზე იშვიათი რომ იყო. გამოსავალი მხოლოდ ერთია, უძრაობას მოძრაობით უნდა შევებრძოლოთ.

**საუბარი ჩაიწერა**
**ჯემალ კასრაძემ.**

---

საასკოლო ფიზკულტურა

# ტირს მოედანი ხომ არ შეეწირება?

**თბილისში,** პავლოვის ქუჩაზე მდებარე 52-ე საშუალო სკოლას კარგი სპორტული კომპლექსი ჰქონდა: კალათბურთის, ხელბურთის და ფრენბურთის მოედნები: მძლეოსნური სექტორი, სამხედრო პატრიოტული აღზრდისთვის განკუთვნილი ღერძით, ორძელითა და ბაგირით აღჭურვილი სექტორი. ერთი სიტყვით, 52-ე სკოლელები ბედს არ ემდუროდნენ.

რაიაღმასკომის თხოვნით და ინიციატივით საქართველოს დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა საბურთალოს რაიონის დოსააფის კომიტეტს 150 ათასი მანეთი გამოუყო და სკოლის სპორტული მოედნების ქვეშ ტირის აგება შესთავაზა. სკოლის ხელმძღვანელობა წყლების მოულოდნელმა გამოჩენამ გამოიწვია, საქმის დიდი ნაწილი მაინც შესრულდა და 110 ათასი მანეთის საერთო მოცულობის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა.

აშენებული, გადახურული და შელესილია 60-მეტრიანი სასროლეთი. დარჩენილია სავენტილაციო სამუშაოები, რომლის დამთავრება დანადგარების უქონლობის გამო ყოვნდება.

ამ სამუშაოს აგრომრეწვის გაერთიანება „აგრომონტაჟი“ (უფროსი თ. ხოსიტაშვილი) ასრულებს.

სამწუხაროდ, სავენტილაციო სამუშაოების დამთავრებამდე მოედნების მშენებლობა შეუძლებელია. არ აქვთ აგრეთვე სასროლეთის კა-



აი, ასე გამოიყურება 52-ე საშუალო სკოლის სპორტული მოედანი დღეს.

ყაბულს გახდა, რადგან მთელ რაიონში ტირი არ არსებობდა. იფიქრეს, ტირს ჩვენც გამოვიყენებთო.

ეს საქმე სკოლის სპორტული კომპლექსის დანგრევას ითხოვდა, თუმცა, ტირის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისი აღდგენა და უკეთესის მოწყობაც შეიძლებოდა.

ორი წლის წინათ კომპლექსი დაანგრიეს და ტირის მშენებლობა საქართველოს აგრომშენის №1 ტრესტის პირველმა სამმართველომ დაიწყო. აგრომშენის რეორგანიზაციის შემდეგ, საქმე „საქკოლმშენის“ (უფროსი მ. წიკლაური) №1 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ა. ჭადაძე) გააგრძელა (სამუშაოს მწარმოებელი თ. გოგლიძე).

მიუხედავად გაუთვალისწინებელი სიძნელეებისა, რაც მიწისქვეშა რები, თუმცა, რაღა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ სასროლეთი უკაროდ ვერ იარსებებდა, კარების დასაკვეთად რაიონის დოსააფის წარმომადგენლები... ახლა უნდა ჩავიდნენ ბათუმში.

ჩვენ ერთი თვის წინათ გავეცანით ამ მშენებლობის მდგომარეობას. მაშინ მშენებლები დაგვპირდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის ჩაბარება მესამე კვარტალში გვაქვს დაგეგმილი, პირველ კვარტალში საქმეს მოვრჩებითო. ერთი თვის შემდეგ კვლავ ვეწვიეთ სკოლას, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

ბავშვები კი ელიან როდის დამთავრდება ტირის მშენებლობა, რადგან ამის შემდეგ სპორტული კომპლექსის აღდგენის იმედი აქვთ.

**პირიბე გვარლიანი.**

---

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „რა მოჩანს ახალგაზრდული თამაშების შედეგების სარკეში?“

**გაზეთ „ლელოს“ 1988 წლის 28 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „რა მოჩანს ახალგაზრდული თამაშების შედეგების სარკეში?“ — პასუხად მესტიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ აღნიშნულ თამაშებისადმი მესტიის რაიონის სპორტული ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულების ფაქტი განიხილა მესტიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა და სათანადო შეფასება მიეცა.**

**აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ IV რესპუბლიკურ ახალგაზრდულ თამაშებში მესტიის რაიონს უნდა გაეგზავნა 4 გუნდი: კრივში, ძიუდოში, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, გაიგზავნა 2 (ქართულ ჭიდაობასა და სამბოში), რომლებიც გავიდნენ რა ფინალში, შემდგომ ქ. თბილისში ვერ ჩავიდნენ დიდთოვლობით გამოწვეული უგზოობის გამო. რაც შეეხებათ კრივსა და ძიუდოს, სპორტის ამ სახეობებში რაიონმა გუნდები ვერ დააკომპლექტა იმ მიზეზით, რომ 1968-1969 წლებში დაბადებული ახალგაზრდები გაწვეული არიან საბჭოთა არმიის რიგებში.**

**ნ. აფრასიძე,**
**მესტიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

---

## გამარჯვება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთან

**ტაშკენტში** მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) საერთაშორისო შაშში, შეჯიბრებაში მონაწილეობს თბილისელი არმიელი, სპორტის ოსტატი არტურ გოიხმანი. იგი I ტურში ხარკოველ საერთაშორისო ოსტატთან ვადიმ კოლესნიკთან დამარცხდა. შემდეგ ზედიზედ ხუთი პარტია ყაიმით დაამთავრა, ხოლო VII ტურში სძლია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, მინსკელ საერთაშორისო დიდოსტატს ანატოლი განტვარგს. ახლა გოიხმანს 3,5 ქულა აქვს. ჩემპიონატს კი 5 ქულით ლიდერობს ბენდერელი ოსტატი იგორ კოიფმანი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლენინგრადელი დიდოსტატი ვადიმ ვირნი. 4-4 ქულა მოაგროვეს მოსკოველმა დიდოსტატებმა ალექსანდრე შვარცმანმა, ვიაჩესლავ შჩოგოლევმა, კიეველმა დიდოსტატმა როსტისლავ ლეშჩინსკიმ და მინსკელმა დიდოსტატმა ალექსანდრე ბალიაკინმა. სულ შეჯიბრებაში 18 მოშაშე მონაწილეობს.

**მიხეილ ვიგნანსკი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

---

# ეს მისასალმებელია

**მართლაც** შესანიშნავი წინადადება წამოაყენა ამას წინათ „ლელომ“ — თბილისის მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირს ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის სახელი ეწოდოსო. ეს კიდევ უფრო გაზრდის საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ტურნირისადმი ინტერესს და გამოარჩევს მას სხვა მრავალი საერთაშორისო ტურნირებისგან. თვით მოჭადრაკეებისთვისაც უფრო ღირსშესანიშნავი იქნება ითამაშონ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ტურნირში, იმ ნონასი, რომელიც საჭადრაკო ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლოა. მაგრამ ამასთან პასუხისმგებლობაც იზრდება: ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ტურნირმა ტრადიციულად უძლიერეს და საუკეთესო შემადგენლობას უნდა მოუყაროს თავი, ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატი უნდა იყოს, ტურნირის ჩატარების ვადები ტრადიციული უნდა გახდეს, როგორც ყველა დიდი საერთაშორისო ტურნირისა.

**გიორგი გოგიაშვილი.**
კასპის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დნეპრი“ — „მეტალისტი“ 2:0 (0:0).** გოლები: პუჩკოვი, კუდრიცკი.

დუბლიორები — 2:1.

**„არარატი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0 (1:0).** გოლი: ა. ხაჩატურიანი (11-მეტრიანით).

გააფრთხილეს ერევნელი ფეხბურთელები მელიქიანი და ვ. ხაჩატრიანი, აგრეთვე, მინსკელი შალიმო.

დუბლიორები — 1:0.

**„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ 1:1 (0:0).** გოლები: ნიკიფოროვი („ჩერნომორეცი“), პისარევი („ტორპედო“).

დუბლიორები — 1:1.

**„შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ 1:0 (0:0).** გოლი: იაშჩენკო.

გააფრთხილეს გორლუკოვიჩი, კალაიჩევი („ლოკომოტივი“), აგრეთვე, სმოლიანინოვი, გოშკოდერია, ევსეევი („შახტიორი“).

დუბლიორები — 0:2.

**„პამირი“ — „როტორი“ 1:1 (0:1).** გოლები კრუშინი („როტორი“), რახიმოვი („პამირი“).

გააფრთხილეს სერგეევი, სუროვიკინი („როტორი“).

დუბლიორები — 0:0.

**„სპარტაკი“ — „ჟალგირისი“ 4:0 (1:0).** გოლები: ჩერენკოვი, შმაროვი, როდიონოვი, მოსტოვოი (11-მეტრიანით). ყველა — „სპარტაკი“.

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ 3:0 (1:0).** გოლები: ბოროდიუკი, ბულანოვი, დერკაჩი.

გააფრთხილეს ლენინგრადელი ფეხბურთელები ჩანჩიკი და რადჩენკო.

დუბლიორები — 3:2.

**პირველი ტურის მატჩებმა საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს პრესაში. მიმომხილველები აღნიშნავენ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა ახალგაზრდულ ასაკს, რომ მსჯობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, რომ კიდევ დაბალია საერთო შედეგიანობა და ა. შ.**

**კერძოდ, კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა:**

**— კიევის „დინამო“ 2 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, მას ჯერჯერობით რთული პერიოდი აქვს, ჯერ არ გაჩნია საერთო საქმიანობისთვის საჭირო საბრუნავი კაპიტალი და თუ გულშემატკივართა საწევრო ანარიცხებს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა თანხები არ ჩანს. ამიტომაც, ჯერჯერობით ადრინდელი დანაზოგით ვცხოვრობთ. შესაძლოა ყველაფერი ეს ორგანიზაციულ გარდაქმნებთან არის დაკავშირებული. გვაქვს დანაკლისი. მაგალითად, ბულგარეთის გუნდთან მატჩში მძიმედ დაშავდა ბელანოვი, სრული ძალით არ შეეძლოთ ვარჯიში მიხაილიჩენკოს, ბალს და სხვებს. გამორიცხული არაა, რომ უახლოეს ხანებში ბარსელონის „ესპანიოლაში“ გადავა ჩვენი ფეხბურთელი ვასილი რაცი. ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არიან ბესონოვი და იაკოვენკო. ჩვენს უახლოეს გეგმებშია ახალი საწვრთნელი ცენტრის მოწყობა, საფეხბურთო მინდვრების გამოყოფა ბავშვებისათვის, მათთვისვე გვინდა დავამზადოთ სპორტული ფორმა და ბურთები. მნიშვნელოვანი ამოცანები დგას საბჭოთა კავშირის ნაკრების წინაშე. 22 მარტს ქალაქ ეინდჰოვენში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შევხვდებით ევროპის ჩემპიონს ჰოლანდიის ნაკრებს, 26 აპრილს კი კიევში შედგება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. მრავალ ახალგაზრდა ფეხბურთელს შევამოწმებთ ჩემპიონატების მატჩებში და შესაძლოა ისინი ნაკრებშიც მივიწვიოთ.**

# სწავლა სიბერემდე

**პური** ჭამაზე გამოაცხობინეო, ეს ძველთაძველი სიბრძნე ჩვენში დიდხანს იყო იგნორირებული. დღეს, როდესაც გარდაქმნამ ასე მწვავედ დააყენა კვალიფიციური სპეციალისტების საკითხი, აღმოჩნდა, რომ უკეთესად საქმე არც სპორტში გვქონია. დიახ, საქმის მცოდნე კადრები გვაკლია. ეს უფრო თვალსაჩინო მაშინ გახდა, როდესაც ათასგვარი ჯანმრთელობის კოოპერატივები გაიხსნა და ბევრმა არასპეციალისტმა სცადა ბედი. მათი უმეტესობა სპორტსმენია, მაგრამ, ცხადია, აკლია ის კლასიკური საფუძველი, ურომლისოდაც მუშაობა ეფექტური ვერ იქნება. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე წელს მუშაობა დაიწყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა ფასიანმა მოსამზადებელმა სამთვიანმა კურსებმა, წარმოების მოუწყვეტლივ. ერთ-ერთის, ათლეტური ტანვარჯიშის ჯგუფის მეცადინეობას, ახლახან დავესწარით. აქ 28 მსმენელიდან 8 აქტიური სპორტსმენია. ორ მათგანს გამოველაპარაკეთ.

**მიხეილ ხუსკივაძე** ფიზიკოსია, იგი ჩვენში ათლეტური ტანვარჯიშის ერთ-ერთ ავტორიტეტულ სპეციალისტად ითვლება და ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, რომ იგი მსმენელთა შორის ვნახეთ, მაგრამ...

— კურსებზე ისწავლება ბევრი ისეთი საგანი, ურომლისოდაც მწვრთნელს საკმაოდ გაუჭირდება. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა იცის რა უნდა აკეთოს, მაგრამ არ იცის რისთვის აკეთებს. კურსებზე გვასწავლიან მედიკო-ბიოლოგიურ საგნებს, საერთაბილიტაციო და პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, სპორტულ ჰიგიენას, პლასტიკურ ანატომიას. სიმართლე უნდა ვთქვა, რომ თავიდან ზოგიერთი ჩვენთაგანი ეჭვით ვიყავით განწყობილი კურსების მიმართ, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდით, რომ აქ შეიძლება ბევრი საჭირო ცოდნის შეძენა, რომელიც, შემდეგ, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოგვადგება.

**ისაკ გორელოვი** — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი:

— ფიზკულტურის ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. ჩემი სპეციალობით 6 წელი ვიმუშავე დმანისის რაიონში. ამჟამად მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი ვარ და პარალელურად ჯანმრთელობის კოოპერატივ „ეტალონში“ მწვრთნელად ვმუშაობ. კურსებმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენი მომზადების საქმეში რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტებია ჩაბმული. გარდა ამისა, კურსების ორგანიზატორებმა მოიწვიეს და მალე გვესტუმრება საკავშირო ათლეტიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ანატოლი შუბოვი, ამ გამოცდილი კაცის ლექციები, დარწმუნებული ვარ, ბევრად გაგვიფართოებს ჩვენი საქმიანობის თვალსაწიერს.

ჩვენი მხრიდან კი დაინტერესებულ პირებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ კურსების მისამართს: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49-ა, ტელ: 23-32-69.



**ს უ რ ა თ ზ ე: ლექციას ატარებს სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტი გივი სამსონაძე.**

**ჯ. კახრაძის ფოტო.**

# „სიჭაბუკის თასზე“

**ქალაქის** „სიჭაბუკის თასის“ გათამაშებით დაიწყო თბილისის საფეხბურთო სეზონი. ასპარეზობა ჩატარდა საინტერესოდ და დაძაბულად. მასში მონაწილეობდნენ რაიონების ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო ორ ჯგუფში და წარიმართა ორ წრედ. ფინალში გავიდნენ კალინინისა და ოქტომბრის რაიონების წარმომადგენლები.

ეს შეხვედრა გაიმართა თბილისის ა. ჟორდანიას სახელობის დიღმის საფეხბურთო ბაზაზე. ფინალი დრამატული გამოდგა — თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 2:2. თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიით გაიმარჯვა (4:2) ოქტომბრის რაიონის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ნ. ლეჟავა და ა. ილიადი).

„სიჭაბუკის თასის“ გათამაშებაში გამოირჩეოდნენ ნორჩი ფეხბურთელები — თ. ჩლაიძე, ზ. ფარეიშვილი, ი. ნარსია, დ. ტარიელაშვილი, ქ. ჭოხონელიძე, ზ. ზირაქიშვილი, მ. ბუცურეიშვილი, ა. ალექსიშვილი, მ. ნათენაძე და სხვები.

**მერაბ წიკლაური,**
**თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილების ინსტრუქტორი.**

**ს უ რ ა თ ზ ე: „სიჭაბუკის თასის“ მფლობელი ოქტომბრის რაიონის გუნდი.**



# საუკეთესო გუნდი და ფეხბურთელი

● **ლათინური** ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში წლის განმავლობაში ორი პირველობა იმართება. ასე მაგალითად, არგენტინაში ეროვნული პირველობის გარდა („ნასიონალი“) იმართება ე. წ. „მეტროპოლიტანო“ — ბუენოს-აირესისა და მისი შემოგარენის პირველობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნასიონალში“ მონაწილე გუნდების სამი მეოთხედი სწორედ ამ რეგიონს წარმოადგენს, ნათელი გახდება, რომ „მეტროპოლიტანოს“ ჩემპიონობა არანაკლებ პრესტიჟულია. ასეთივე სურათია ურუგვაიში, ვენესუელაში და სხვა ქვეყნებში. ამიტომაც, როცა წლის ბოლოს ქვეყნის საუკეთესო გუნდს ასახელებენ, იგი ყოველთვის ეროვნული ჩემპიონი როდია. ქვემოთ გთავაზობთ 1988 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებში საუკეთესოდ მიჩნეულ გუნდებსა და ფეხბურთელებს:

**არგენტინა:** როსარიოს „ნეველს ოლდ ბოისი“ და ურუგვაელი რუბენ პასი („რესინგი“).

**ბოლივია:** „სტრონგესტი“ და კარლოს ბორია („ბოლივარი“).

**ბრაზილია:** „ვასკო და გამა“ და მისი ნახევარმცველი ჟეოვანი.

**კოლუმბია:** „მილიონარიოსი“ და ლიონელ ალვარესი („ნასიონალი“).

**კოსტა-რიკა:** „სპორტ ჰერედიანო“ და აქვე მოთამაშე კლაუდიო ხარა.

**კუბა:** „პინარ დელ რიო“ და მისი კაპიტანი კარლოს გონსალესი.

**ჩილი:** „კობრელოა“ და ხაიმე პისარო („უნივერსიდად კატოლიკა“).

**დომინიკანელთა რესპუბლიკა:** „დონ ბოსკო“ და ანხელ ჰისიანო („უნივერსიდად აუტონომა“).

**ეკვადორი:** „ემელეკი“ და ალექს აგუინაგა („დეპორტივო კიტო“).

**ურუგვაი:** „დანუბიო“ და რუბენ პერეირა ამავე გუნდიდან.

**გვატემალა:** „მუნისიპალი“ და კარლოს კასტანედა („დეპორტივო სუჩიტეპეკა“).

**ჰონდურასი:** „ოლიმპია“ და ჯილბერტო იარვუდი („მონტაგუა“).

**მექსიკა:** „უნივერსიდად ნასიონალი“ და მისი ლიდერი მანუელ ნეგრეტე.

**ნიკარაგუა:** „დეპორტივო ამერიკა“ და სეზარ როსტანი ამავე გუნდიდან.

**პარაგვაი:** „ოლიმპია ასუნსიონი“ და მისი თავდამსხმელი რაულ ამარილია.

**პერუ:** „სპორტინგ კრისტალი“ და ხულიო სეზარ ურიბე („უნივერსიტარიო“).

# გულშემატკივარი გთავაზობს

**პროფესიით** არქიტექტორი გახლავართ და ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის დირექციას თხოვნით მივმართე, რათა ფეხბურთის კარის ბადის საყრდენები სამაგრიანი კიდული ბადით (ნახ. № 1) შეეცვალათ, როგორც ეს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე იყო. შესაძლოა სტადიონის დირექციამ თხოვნას ანგარიში გაუწია და ბადის პატარა ზომის საყრდენები შეცვალა დიდი ზომის საყრდენებით.

მაგრამ არსებობს მე-2 ნახაზზე მოცემული ვარიანტიც, რომლის მაგვარი ევროპის ზოგიერთ სტადიონზე არსებობს.

შესაძლოა ზოგიერთმა იფიქროს რა აიხირა ამ არქიტექტორმა, რაც გვაქვს, ისიც კარგად ასრულებს თავის ფუნქციასო, მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარი დამაგრებული ბადეები ჯობია ადრინდელს, ვინაიდან დიზაინს ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ესთეტიკური მოწყობილობა კიდევ უფრო ლამაზს გახდის ჩვენს სტადიონს.

გარდა ამისა, უცხოეთის საუკეთესო სტადიონებზე და მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზეც დამაგრებულია პლასტმასის სკამები. ურიგო არ იქნება თუ მომავალში ჩვენს შესანიშნავ სტადიონზეც პლასტმასის სკამები გაკეთდება. ეს, ჯერ ერთი, ლამაზია და გარდა ამისა სტადიონზე მომსვლელ ყოველ მაყურებელს თავისი გარკვეული ადგილი ექნება

**გოჩა პაიჭაძე.**



ნახ. 1.



ნახ. 2.

⊙ ფეხბურთი

# ვეტერანთა მატჩის ექო

**ფეხბურთის** გამოჩენილ ვეტერანთა საქველმოქმედო მატჩმა დიდი გამოძახილი ჰპოვა. დასავლეთ გერმანიის ქალაქ აუგსბურგში განვლილ კვირას აუწერელი აჟიოტაჟი სუფევდა, ცენტრალურ სტადიონ „როზენაუშტადიონისკენ“ მიმავალი გზები მორთული იყო პლაკატებით: „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები ეხმარებიან სომხეთს“. თვით სტადიონზე სახეგაბრწყინებული ბავშვები გუნდად დასდევდნენ წარსულის გამოჩენილ ვარსკვლავებს და ღებულობდნენ ავტოგრაფებს.

„როდის და სად უნდა ჩამოვიდე!“ — ასეთი ლაკონური პასუხი გასცა გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა, წარსულის შესანიშნავმა ფეხბურთელმა ფრანც ბეკენბაუერმა, როცა მას წინადადებით მიმართა მატჩში მონაწილეობა მიეღო დასავლეთ გერმანიის ცნობილმა რძის პროდუქციის მწარმოებელმა ფირმა „მიულერ-მილხმა“. საქველმოქმედო მატჩისთვის თავიანთი წვლილი გაიღეს სხვა მსხვილმა დასავლეთგერმანულმა ფირმებმა „ადიდასმა“, „დაიმლერ ბენცმა“, იაპონიის საავტომობილო კონცერნმა „მაცდამ“, დასავლეთ გერმანიის გამომცემლობა შპინგერმა.

ფრანც ბეკენბაუერის მაგალითს დაუყოვნებლივ მიბაძეს სხვა ევროპელმა ვეტერანებმაც. ასევე, არც შორეულ სამხრეთ ამერიკაში დარჩენილან გულგრილად ამ საქველმოქმედო მატჩის მიმართ. „შეიძლება ჩემთვისაც გამოძებნოთ ადგილი ევროპის ნაკრებში?“ — ასე მიმართა ორგანიზატორებს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონმა კარლოს ალბერტომ და სასწრაფოდ გამოეშურა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისკენ. კარლოს ალბერტო ამჟამად ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის სან-პაულუს საქალაქო პარლამენტის წევრია.

ევროპის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა სხვადასხვა დროის 9 მსოფლიო და 7 ევროპის ჩემპიონი. მატჩის მონაწილენი და მაყურებელნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მისალმებას, რომლის ტექსტიც თამაშის დაწყების წინ წაიკითხა საბჭოთა კავშირის ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ი. კვიცინსკიმ.

მატჩის დამთავრების შემდეგ ფირმა „მიულერ-მილხის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გერჰარდ შოტცნერმა განაცხადა, რომ ეს იყო დაუვიწყარი თამაში; „სიმართლე გითხრათ, დასაწყისში ვეჭვობდით კიდეც ჩვენი იდეის წარმატებით განხორციელებაში, მაგრამ ის კი ნაღდად ვიცოდით, რომ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები ხალისით გამოეხმაურებოდნენ მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებელ მატჩს. ტყავის ბურთის ვარსკვლავებმა უანგაროდ მიიღეს მონაწილეობა თამაშში. ჩვენი აზრით, მატჩის შემოსავალმა 100 ათას დასავლეთგერმანულ მარკას გადააჭარბა, ცოტა ადრე ჩვენმა ფირმამ უკვე გადასცა ასეთივე თანხა სომხეთის დასახმარებელ ფონდს“.

— როდის შედგება საპასუხო მატჩი მოსკოვში? — ეს საკითხი აწუხებდა ბევრს აუგსბურგის მატჩის შემდეგ. სავარაუდოა, რომ მატჩი წლეულს ზაფხულში შედგება და მიეძღვნება გამოჩენილი საბჭოთა მეკარის ლევ იაშინის დაბადების 60 წლისთავს.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის

# ლიდერები დაზავდნენ

**საქართველოს** მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატის XI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა და თბილისელი ოსტატი ნათია ჯანჯღავა. მოსალოდნელი იყო შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ ორივე მხარემ მშვიდი თამაში ამჯობინა, მეტოქეებმა არ გაამწვავეს პოზიცია და დაზავდნენ.

ამ დღეს ლიდერთა ჯგუფის კიდევ ორი წარმომადგენელი შეხვდა ერთმანეთს — თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ლია სადუნიშვილი და გორელი ოსტატი ციალა ქასოშვილი. დიდი ბრძოლა, სამწუხაროდ, არც ამ პარტიაში გაჩაღებულა, ქასოშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა, დაკარგა ლაზიერი და დათმო შეხვედრა. თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე, რომელიც ოსტატის ნორმის შესასრულებლად იბრძვის, დაუზავდა საერთაშორისო ოსტატს თამარ ხუგაშვილს.

ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მესხი-ტერელაძე 1:0, თვაური-ჩაიკოსკაია — 0,5:0,5, ლაგვილავა-კობაიძე — 1:0, თანდაშვილი — ალიხანაშვილი — 0:1. ქ. მელაშვილი — მერეკლიშვილი 0,5:0,5, კურცხალია — ეძგვერაძე — 1:0.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავ ეკატერინე ფახიროვა ლიდერობს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ნათია ჯანჯღავას 8 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან ლია სადუნიშვილი — 6,5 (1), თამილა მესხი (ქუთაისი) — 6,5, ციალა ქასოშვილი, ნინო ხურციძე — 6-6 (2-2), ქეთევან მელაშვილი (თბილისი), ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი) — 6-6.

**თამარ ხმიადაშვილი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: ჩემპიონატის სარბიელი ერთ-ერთი ტურის დროს.**



ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

# დრაჟენ პეტროვიჩის 62 ქულა

**ათენი.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი კალათბურთში მადრიდის „რეალმა" მოიპოვა. ფინალურ შეხვედრაში მან იტალიის „სნაიდერო" დაამარცხა. ორი ტაიმი ამ დრამატიული მატჩისა დამთავრდა ფრედ 102:102 (60:57). დამატებით დროში ესპანელმა კალათბურთელებმა ოთხქულიან უპირატესობას მიაღწიეს 117:113.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო ესპანელთა კლუბში მოთამაშე იუგოსლავიელი დრაჟენ პეტროვიჩი, რომელმაც თავის კოლექტივს 62 ქულა შესძინა. საინტერესოა, რომ რვა ზუსტი ტყორცნა მან ექვსმეტრიანი ზონიდან შეძლო.

„რეალი" ფაქტიურად სულ წინ იყო, მაგრამ ბრძოლის დამთავრებამდე 18 წამით ადრე ბრაზილიელმა ოსკარ შმიდტმა ზუსტი სამქულიანი სროლით გაათანაბრა ანგარიში — 102:102, რასაც დამატებითი ტაიმი მოჰყვა. სხვათა შორის, შმიდტი „სნაიდეროში" საუკეთესო სნაიპერი იყო — 44 ქულა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „რეალის" მეორე შედეგიანი მოთამაშე ხოსე ბირიუკოვი (20 ქულა) ადრე მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავდა.

ესპანელებმა ბოლო ათი წლის მანძილზე საპატიო თასი მეორედ მოიგეს. პირველად ეს 1984 წელს მოხდა.

როგორც ცნობილია, კაუნასის „ჟალგირისმა" ამ გათამაშებაში ნახევარფინალამდე მიაღწია და სწორედ „სნაიდეროსთან" დამარცხდა.

# უქლიერესთა ოთხეული

**მოსკოვი.** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და იუგოსლავიის „იუგოპლასტიკა". არმიელი სპორტსმენები ამ და კიდევ დარჩენილ ერთ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში 19 ქულას აგროვებდნენ და ოთხეულში მოხვედრის თეორიულ შანსებს ინარჩუნებდნენ. მაგრამ იუგოსლავიელებთან მარცხმა ეს სუსტი იმედიც გადაწურა. „იუგოპლასტიკამ" გაიმარჯვა — 91:77 (43:44).

საპატიო პრიზისათვის ბრძოლას, ეს უკვე საბოლოოდ გაირკვა, გააგრძელებენ: „მაკაბი" (ისრაელი), „ბარსელონა" (ესპანეთი), „არისი" (საბერძნეთი) და „იუგოპლასტიკა" (იუგოსლავია).

## კალეიდოსკოპი

### კონკურსში გამარჯვებული

ავსტრალიის კერძო სატელევიზიო კამპანიას ატნ-ს გადაწყვეტილი აქვს 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის მონოპოლიური უფლება იყიდოს, თუ ეს მოხდა მწვანე კონტინენტს ბარსელონის ოლიმპიადის დღეებში მხოლოდ ატნ მოემსახურება.

როგორც ცნობილია, სეულში მან ასეთივე უფლებისთვის 10,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. ახლა კამპანიამ 33,75 მილიონი დოლარი გამოჰყო. ატნ-მ, როგორც მელბურნიდან იუწყებიან, დიდი უპირატესობით მოიგო პრეტენდენტთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა ათი კერძო კამპანია და სახელმწიფო კორპორაცია.

### სპორტულ ჟურნალისტთა კლუბი

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ამ ცოტა ხნის წინ შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — სრულიად ჩინეთის სპორტულ ჟურნალისტთა კლუბი. გაზეთ „ჩჟუნგო ტიუი ბაოს" კორესპონდენტის განმარტებით, ახალმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო არა მარტო ჟურნალისტები, რომლებიც სპორტულ თემატიკაზე სწერენ, არამედ სპორტის ბევრი მოყვარული და თაყვანისმცემელი.

დამფუძნებელ კრებაზე მიღებული დადგენილების თანახმად კლუბის მთავარი ამოცანაა პირველ რიგში, მასობრივი სპორტის პროპაგანდა, აგრეთვე, ქვეყნის სპორტული ცხოვრებისა და ჩინეთის სპორტსმენთა საერთაშორისო წარმატებების პოპულარიზაცია.

### ალბერვილის პერსპექტივები

ამას წინათ ალბერვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1992 წელი) საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიშელ ბარნიემ ფრანგ და უცხოელ ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია ჩაატარა, მან აღნიშნა, რომ ყველა სპორტული ბაზისა და ობიექტის მშენებლობა 1990 წლისთვის დამთავრდება.

ალბერვილში 20 ათასი კაცი ცხოვრობს, ქალაქის ტერიტორიაზე გაიმართება მოციგურეთა და ფიგურისტთა შეჯიბრება. აქვე მოეწყობა ოლიმპიადის საზეიმო გახსნა და დახურვა. ალბერვილს ემიჯნება დიდი ველი, სადაც კონცენტრირებულია სათხილამურო ტრასები. სპორტული ბაზების მშენებლობა ქალაქს 7 მილიარდი ფრანკი დაუჯდება. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ მუნიციპალიტეტი მიდის ასეთ ხარჯზე, ვინაიდან ბევრი ნაგებობა ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მოსახლეობას გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

### ჩემპიონები ბრალდებულთა სკამზე

წარსულში ცნობილმა ამერიკელმა სპრინტერმა, რომელსაც ერთ დროს მსოფლიო რეკორდიც კი ჰქონდა დამყარებული 100 იარდზე რბენაში, ჰიუსტონ მაკტირმა თავი დამნაშავედ სცნო კოკაინის ყიდვა-გაყიდვაში. თებერვლის პირველ რიცხვებში იგი ქალაქ სანტა-მონიკას (კალიფორნიის შტატი) სასამართლოს წინაშე წარსდგა.

პოლიციამ მაკტირი შარშან შემოდგომაზე დააკავა, როგორც კოკაინით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი. ყოფილი სპორტსმენი დიდხანს უარყოფდა წარდგენილ ბრალდებებს, მაგრამ ბოლოს მოწმეთა დაკითხვისა და მრავალგზის დაპირისპირების შემდეგ გატყდა.

როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინ ანალოგიური დანაშაულისთვის აშშ-ში 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ევროპის ექსჩემპიონს მძლეოსნობაში დევიდ ჯენკინსაც.

## კალეიდოსკოპი

## ჩემპიონატის კალენდარი

**როგორც** ცნობილია, კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება წლეულს ივნისში (ზაგრები). ორგანიზატორებმა უკვე გამოაქვეყნეს ტურნირის პროგრამა. სსრ კავშირის ნაკრების (იგი I ჯგუფში გამოდის) კალენდარი ასეთია: 20 ივნისი — იტალიასთან, 21 ივნისი — ჰოლანდიასთან, 22 ივნისი — ესპანეთთან.

II ჯგუფში იასპარეზებენ საფრანგეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის გუნდები. 24 ივნისს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები, 25 ივნისს კი ფინალი.

## „ბაიერნი" ნახევარფინალში

**14 მარტს** მიუნხენში (გფრ) გაიმართა უეფა-ს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი. ადგილობრივი „ბაიერნის" ფეხბურთელთა კლუბმა მიიღო შოტლანდიის „ჰართსი".

შოტლანდიელებს პირველი მატჩი თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0. „ბაიერნმა" შეძლო რევანშის აღება — 2:0 (1:0) და ნახევარფინალში გავიდა.

# თქვენი სვლაა, მკითხველო!

„ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანი" მკითხველებს იწვევს თავისებურ კონკურსში მონაწილეობისათვის. მაგრამ, ვიდრე პირველ სვლას გააკეთებდეთ, მოდით, განვიხილოთ პირობები და საერთოდ, გავარკვიოთ, რა ამოცანას ისახავს კონკურსი. „მერანის" რედაქციის სურვილი და მიზანია მოგცეთ შესაძლებლობა მსოფლიო ჩემპიონებთან, სხვადასხვა დროის აღიარებულ დიდოსტატებთან და ოსტატებთან დაუსწრებელ პაექრობაში გამოსცადოთ ძალა.

„მერანში" გამოქვეყნდება ჭადრაკის ოსტატთა მიერ ნათამაშებ პარტიებში წარმოქმნილი პოზიციები. **თქვენ გევალებათ გამოიცნოთ და შეძლებისდაგვარად შეაფასოთ, როგორ ითამაშეს მათ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში და რატომ მაინცდამაინც ასე? არც ის არის გამორიცხული, რომ მათი სვლები არასწორად მიიჩნიოთ და უკეთეს გაგრძელებას მიაგნოთ.**

ჭადრაკის მოყვარულები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ საკითხებისადმი. სხვადასხვა რანგის მატჩებისა და ტურნირების დროს მოყვარულები ხშირად ვერ ითმენენ და ამა თუ იმ პარტიის შედეგს წინასწარ განსაზღვრავენ, ცდილობენ, ჩაწვდნენ ჭადრაკის აღიარებულ ოსტატთა ჩანაფიქრის სიღრმეს და, რა თქმა უნდა, ამით საკუთარი ცოდნის დონესაც ამოწმებენ...

სხვათა შორის, ამ კონკურსის იდეა თვით მკითხველების მიერაა ნაკარნახევი. თითქმის ერთდროულად მიღებულ რამდენიმე წერილში იყო გამოთქმული სურვილი, რომ გაზეთის ფურცლებზე რაც შეიძლება საინტერესო ფორმით მოვუთხროთ მკითხველებს ჭადრაკის ისტორიის შესახებ. ეს სურვილი განპირობებულია იმითაც, რომ ჭადრაკის ისტორიის შემცველი ლიტერატურა დიდი იშვიათობაა წიგნის მაღაზიების თაროებზე.

**მაშ ასე, ძვირფასო მკითხველებო, ხვალ, 17 მარტს „მერანის" ფურცლებზე თქვენ იხილავთ პირველ დავალებას და ამ ორიგინალური კონკურსის პირობებს დაწვრილებით.**

## „სპორტპროგნოზი"

**შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა**

15.IV
1. სსრკ — აშშ

16.IV
2. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია
3. აშშ — შვეცია

18.IV
4. კანადა — აშშ
5. სსრკ — ფინეთი

19.IV
6. ფინეთი — შვეცია

21.IV
7. სსრკ — ჩეხოსლოვაკია
8. შვეცია — კანადა

22.IV
9. ჩეხოსლოვაკია — შვეცია
10. კანადა — სსრკ

23.IV
11. პოლონეთი — გფრ

24.IV
12. ჩეხოსლოვაკია — კანადა
13. შვეცია — სსრკ

**ბილეთების „ბვ" ნაწილების მიღების ბოლო ვადები გამოქვეყნდება დამატებით.**

## „სპორტპროგნოზი", მე-13 ტირაჟის პროგრამა (25-27 მარტი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **გადასასვლელი ტურნირი შაიბიან ჰოკეიში** | | | | |
| 1. „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი) — „ტორპედო" (იაროსლავლი) პირველი თამაში | 25.III | 20 | 10 | 70 |
| 2. „სიბირი" (ნოვოსიბირსკი) — „დინამო" (ხარკოვი) პირველი თამაში | 25.III | 70 | 20 | 10 |
| 3. „ლადა" (ტოლიატი)) — ურძცკის სახ. სკ (ყაზანი) პირველი თამაში | 25.III | 30 | 40 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 4. სკიფძ (კრასნოდარი) — „ნევა" (ლენინგრადი) ქ. რიგაში | 25.III | 40 | 30 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 5. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „პამირი" (დუშანბე) | 26.III | 80 | 10 | 10 |
| 6. „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 26.III | 20 | 70 | 10 |
| 7. „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 26.III | 30 | 60 | 10 |
| 8. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (თბილისი) | 26.III | 30 | 60 | 10 |
| 9. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „არარატი" (ერევანი) | 26.III | 20 | 70 | 10 |
| 10. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 27.III | 50 | 20 | 30 |
| 11. „დინამო" (კიევი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 27.III | 20 | 70 | 10 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 12. „ტულუზა" (ტულუზა) — „ტულონი" (ტულონი) | 25.III | 60 | 20 | 20 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 13. „ელჩე" (ელჩე) — „სევილია" (სევილია) | 26.III | 10 | 60 | 30 |

**შენიშვნა:** ხელბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი №2)**

18 მარტი

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 18.00 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 16 მარტს.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა შედგება 17 მარტს „დინამოს" სტადიონზე. დასაწყისი 18 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში მატჩის ჩატარების დრო და ადგილი გამოცხადდება დამატებით.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07138